

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

"ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თობაზე“ კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისას სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებისათვის ვეტერანის სტატუსის განსაზღვრის წესი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია საქართველოს პრეზიდენტის აღჭურვა უფლებამოსილებით აუცილებელ შემთხვევაში განსაზღვროს სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე პირებისათვის ვეტერანის სტატუსი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტისათვის სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე პირებისათვის ვეტერანის სტატუსის განსაზღვრის უფლებამოსილების დელეგირება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს დამატებით საბიუჯეტო ასიგნებებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტების მიღება გავლენას არ იქონიებს საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს საბიუჯეტო ხარჯების გაზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება

კანონპროექტების მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება
კანონპროექტების მიღებას არ მოჰყვება ფინანსური შედეგები.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ აღგენს მის განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხივ ხელშეკრულებებთან
კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში
კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

კანონპროექტი შესათანხმებლად წარდგენილი იქნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა,

საქართველოს თავდაცვის, საქართველოს ფინანსთა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროებში.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრები გიორგი წერეთელი და ოთარ თოიძე

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები გიორგი წერეთელი და ოთარ თოიძე